

შპს „CD COMPANY“

ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2018 წელი

1 თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგები	4
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	5

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ხარჯები და სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	10
5. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი.....	11
6. ძირითადი საშუალებები	11
7. არამატერიალური აქტივები	12
8. ფული და ფულის ექვივალენტები	12
9. საბანკო სესხები /.....	12
10. სავაჭრო და საგადასახადო ვალდებულებები	12
11. საკუთარი კაპიტალი	13
12. მოგების გადასახადი	14
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14
14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება... ..	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	321,590	292,531
სავაჭრო მოთხოვნები		809,949	743,529
მარაგები		405,673	257,241
მზა პროდუქცია			
სხვა			
საინვესტიციო ქონება		-	-
სხვა მიმდინარე აქტივი		278,333	263,749
ბიოლოგიური აქტივები			
თვითღირებულების მოდელით		-	-
გადაფასების მოდელით		-	-
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივი	7	1,748	1,996
ძირითადი საშუალებები	6	89,065	19,712
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები		1,906,358	1,578,758
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-
სავაჭრო ვალდებულებები	10	621,737	597,580
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები	10	59,174	76,650
გამოუმუშავებული შემოსავალი		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	9	82,529	12,466
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები		94,276	
სულ ვალდებულებები		857,716	686,696
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი(შპს ს შემთხვევაში 'კაპიტალი' კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	11	1,048,642	892,062
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები		-	-
საკუთარი კაპიტალი		1,048,642	892,062
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,906,358	1,578,758

2018 წლის 1 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მხრიდან 2019 წლის 27 სექტემბერს.

.....
შპს „CD company“-ის დირექტორი

რ. ჭილაძე

საქმიანობის შედეგები

	2018 წ.
ნეტო ამონაგები	
საქონლის გაყიდვიდან	2,896,201
მომსახურების გაწევიდან	
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	
სხვა	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,698,870)
საწყისი მარაგები	(257,241)
მარაგების შესყიდვა	(1,847,302)
გადამუშავების დანახარჯები	-
საბოლოო მარაგები	405,673
საერთო მოგება	1,197,331
სხვა შემოსავალი	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(80,050)
ცვეთა და ამორტიზაცია	(11,258)
საპროცენტო შემოსავალი:	-
საპროცენტო ხარჯი :	(4,999)
იჯარის ხარჯი	(67,001)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(408,874)
სულ საოპერაციო ხარჯები	(572,182)
საოპერაციო მოგება	625,149
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	-
ფინანსური აქტივები	-
მარაგები	-
სხვა არაფინანსური აქტივები	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან: (შენიშვნა 5)	(9,833)
მიღებული დივიდენდები	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	13,186
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	628,502
მოგების გადასახადი	(94,275)
მოგება/(ზარალი)	534,227
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	-
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-
სხვა	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	534,227
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	892,062
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(377,647)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	534,227
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,048,642

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	417,005
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(80,362)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(307,584)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	29,059
სავალუტო კურსის ეფექტი	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	292,531
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	321,590

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „CD company“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია 2011 წლის 6 სექტემბერს და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, გლდანი-ნამალაძევის რ-ნი, ნ. კახიანის ქ, N 26.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა კვების პროდუქტებით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია მოქმედი დირექტორი რევაზ ჭილაძე, საქართველოს მოქალაქე.

2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის მიტითებული.

მსს ფასს სტანდარტების პირველად გამოყენება

კომპანიის მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად. მსს ფასს სტანდარტზე გადასვლამდე, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ემყარებოდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუ სხვაგვარად განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული შეფასებების გამოყენებას და მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები აგრეთვე საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს.

წარსადგენი და სამუშაო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი. ლარში წარმოდგენილი ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ლარის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი:

	აშშ დოლარი
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება გარიგების ფასით. კომპანიის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს შეძენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო, საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის და უშუალოდ მარაგების შეძენასთან დაკავშირებულ სხვა დანახარჯებს. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდით (ცვეთის ნორმა - 20%). ახალი სტანდარტის ამოქმედების შემდეგ, ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვის მეთოდი არ შეცვლილა, რადგან მსს ფასს (17.22) იძლევა აღნიშნული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობას. ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებები:

- მანქანა-დანადგარები
- სატრანსპორტო საშუალებები
- ავეჯი და სხვა ინვენტარი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა). არამატერიალური აქტივის ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადაა 10 წელი.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ინდიკატორი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური მარაგის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური მარაგის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა (კომპენსირება), აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

საბანკო სესხები და ოვერდრაფტები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები წრფივი მეთოდით აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა.

დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდგომი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

გადასახადები

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო და საკრედიტო ორგანიზაციები, და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან (ე.წ. “ესტონური”, მოდელი).

ახალი მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით).

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება. არსებობის პრინციპიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებობის გამო).

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

4. ხარჯები

კომპანიაში ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხარჯები მოიცავს:

	31.12.2018
სხვა საოპერაციო ხარჯები	1,136
რეკლამის ხარჯები	320,914
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	80,050
იჯარის ხარჯი	67,001
საბანკო ხარჯი	9,287
მომსახურების ხარჯი	12,025
საკონსულტაციო ხარჯები	400
ცვეთა და ამორტიზაცია	11,258
სხვა საგადასახადო ხარჯები	11,736
კომუნალური ხარჯები	2,692

შპს „CD company“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

საქონლის ჩამოწერის ხარჯი	36,489
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14,195
სხვა შემოსულობები (ზარალი)	11,636
საპროცენტო ხარჯი	4,999
ჯარიმები და საურავები	4,640
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	444
სულ	588,902

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2018
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	18,270
სხვა შემოსულობები (მოგება)	1,803
სულ	20,073

5. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი

	31.12.2018
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	1,803
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(11,636)
სხვაობა	(9,833)

6. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
წმინდა საბალანსო ღირებულება 01.01.2018	3,658		16,054	19,712
შემოსვლა	79,430	932		80,362
პერიოდის ცვეთა	(8,563)		(2,446)	(11,009)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2018	74,525	932	13,608	89,065

2018 წლის წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები არ დადგენილა.

7. არამატერიალური აქტივები

წმინდა საბალანსო ღირებულება 01.01.2018	1,996
პერიოდის ცვეთა	(248)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2018	1,748

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2018	01.12.2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	292,476	310,748
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	10,842
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	55	
სულ	292,531	321,590

9. საბანკო სესხები

კომპანიის მიერ ფინანსური ინსტიტუტიდან, სს პროკრედიტ ბანკისაგან მიღებულ სესხზე -(ლარში) საპროცენტო განაკვეთია წლიური 11%. მოკლევადიანი სესხი არაუზრუნველყოფილია და აღებულია კომპანიის მიერ საბრუნავი საშუალებების შესაძენად.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს პროკრედიტ ბანკის სესხის მონაცემები:

	31.12.2018
--	------------

გადახდილი თანხა

დარიცხული პროცენტი

ბანკის საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმავე პერიოდის ფინანსურ ხარჯად საბაზრო განაკვეთის გამოყენებით.

10. სავაჭრო და საგადასახადო ვალდებულებები

	31.12.2018	01.01.2018
სავაჭრო ვალდებულებები	621,737	597,580
საგადასახადო ვალდებულებები	153,449	76,650
სულ	775,186	674,230

საგადასახადო ვალდებულებები

	31.12.2018	01.01.2018
გადასახდელი (გადახდილი) მოგების გადასახადი	16,921	(471)
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	2,084	3,293
გადასახდელი დღგ	44,304	71,457
გადახდილი დღგ	(5,184)	1,797
გადასახდელი ქონების გადასახადი	1,049	574
მოგების გადასახადი - განაწილებული მოგება	94,275	-
სულ	153,449	76,650

11. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 0 ლარს.

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გასანაწილებელი მოგების ოდენობა შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების თანხით, რომელიც დაფიქსირებულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში.

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
საბალანსო ღირებულება				
01.01.2018		892,062		892,062
გადახდილი დივიდენდი		(377,647)		(337,647)
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)		534,227		534,227
საბალანსო ღირებულება				
31.12.2018		1,048,642		1,048,642

12. მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს შეტანილ იქნა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და შეეხო კომპანიის მოგების გადასახადის აღიარებისა და განსაზღვრის პრინციპებს (კომერციული ბანკის, სადაზღვევო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდის გარდა). ეს ცვლილებები შეეხო კომპანიის მიერ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს. კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით. დივიდენდების გადახდის შემთხვევაში გამოიყენება 15%-იანი მოგების გადასახადი. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, როდესაც ხდება დივიდენდების გაცემა (მიუხედავად იმისა, თუ რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემა ხდება). მოგების გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს დივიდენდის ფიზიკურ პირზე, ან არარეზიდენტ იურიდიულ პირზე გაცემის მომენტში, იმისდა მიუხედავად, ეს განაცემი ფულადი თუ არაფულადი სახით არის შესრულებული.

რეზიდენტ საწარმოს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული აკუმულირებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას, უფლება აქვს ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული (დეკლარირებული) და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს დივიდენდის განაწილებაზე გათვალისწინებული მოგების გადასახადის თანხისა.

აღნიშნული საგადასახადო ცვლილების მიხედვით, დივიდენდების განაწილებასთან ერთად, მოგების გადასახადით ასევე იბეგრება (მოგების განაწილებად ითვლება) ისეთი ხარჯების გაწევა, რაც ეკონომიკურ საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული (ხარჯი რომელიც არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულად; მომსახურების ან აქტივების უსასყიდლო მიწოდება; წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობას). ისეთი გადასახადები, სხვა გადასახადების მსგავსად, რომლებიც უკან დაბრუნებას (ჩათვლას) აღარ ექვემდებარება, კომპანიის მიერ აისახება “სხვა საოპერაციო ხარჯებში” და არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს - “მოგების გადასახადი”.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე მოგების გადასახადი შეადგენს 94,275 ლარს.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან მომზადებული და დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს.